**ხელშეკრულება08863/15**

„დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ"

ქ. თბილისი 14/09/2015 წელი

ერთი მხრივ, **შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"** (შემდგომში "ირაო"), წარმოდგენილი გაყიდვების და მარკეტინგის დირექტორის, **ანდრო ხუხუნაიშვილის** სახით და მეორე მხრივ, სსიპ 130-ე საჯარო სკოლა (შემდგომში "კომპანია"), წარმოდგენილი მაია კოპალიანი, სახით, ცალკე მხარედ, ხოლო ერთობლივად მხარეებად წოდებულნი, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე: CPV კოდ 66500000

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა დაზღვევის სფეროში.

1.2. სადაზღვევო თანხა, პრემიის ოდენობა, ანგარიშსწორების წესი და პირობები განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით.

1.3. დაზღვევის პირობები განსაზღვრულია შესაბამისი დანართით, რომელიც სადაზღვევო პოლისსა და დამზღვევის მიერ შევსებულ განაცხად-ანკეტასთან ერთად წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

**2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით "ირაო":**

2.1.1. უფლებამოსილია, მოსთხოვოს "კომპანიას" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

2.1.2. ვალდებულია, გაუწიოს „კომპანიას" მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება;

2.1.3. ვალდებულია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო პირობების შესაბამისად უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს ზიანის ანაზღაურება;

2.1.4. ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

**2.2. წინამდებარე ხელშეკრულებით „კომპანია":**

2.2.1. უფლებამოსილია, მოსთხოვოს "ირაოს" მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.2.2. ვალდებულია, "ირაოს" მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებით;

2.2.3. ვალდებულია, ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 14.09.2015 დან-14.09.2016-მდე .

**4. ხელშეკრულების შეწყვეტა**

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება:

4.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში;

4.1.2. ვადაზე ადრე ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

4.1.3 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს;

4.1.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას.

**5. მხარეთა პასუხისმგებლობა**

5.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ "დამზღვევი" დაარღვევს სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდის ვალდებულებას, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ფულადი სახით დავალიანების 0.1%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს "დამზღვევს" ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მხარეებს ეკრძალებათ საკუთარი ინიციატივით ცალმხრივად მოშალონ ხელშეკრულება, გარდა ამ ხელშერულებით და/ან საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**6. კონფიდენციალობა**

6.1. მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და/ან სხვა ცნობები, რომელებიც წარმოადგენენ კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, მიუხედავად მათი წერილობითი ან ზეპირი ფორმისა, ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს.

**7. ფორს-მაჟორი**

7.1 წინამდებარე „ხელშეკრულებაში" გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი „ფორს-მაჟორული მდგომარეობა" გულისხმობს შემდეგი გარემოებების არსებობას:

- სამხედრო მოქმედებები, რომლებიც გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომის შედეგია, აგრეთვე აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები და მღელვარებები, დანაშაულებრივი აქტები;
- ,ხელშეკრულების" ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ორგანოების მიერ ისეთი კანონებისა და საკანონმდებლო აქტების მიღება, რაც აბრკოლებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ განხორციელების უფლებას;

- ნებისმიერი სხვა მდგომარეობა, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და არ არის დამოკიდებული ამ „ხელშეკრულების" მონაწილე მხარეებზე.

7.2 თუ წინამდებარე „ხელშეკრულებით" სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ფორს-მაჟორის შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის;

7.3. მხარე, რომლისთვისაც დადგა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომიდან 2 (ორ) სამუშაო დღეში აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან, ფორს მაჟორული გარემოება დადასტურებულ უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოების მიერ.

## 8. დავათა გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში მხარეები უთანხმოების მოგვარებისათვის ხელშეწყობის მიზნით მიმართავენ „სადაზღვევო გზამკვლევს" სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: 2 555 155, ან ელექტრონულ მისამართზე: gzamkvlevi@insurance.org.ge .

8.2 საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშობა მხარეებს შორის, განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

## 9. დასკვნითი დებულებანი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები ან/და ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

9.2 წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების დადგენის პროცესში წარმოებული მოლაპარაკებები და სიტყვიერი შეთანხმებები „ხელშეკრულების" პირობებად არ მიიჩნევა. „ხელშეკრულების" დებულებების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობით და ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის შეტყობინებისთვის საჭირო საკომუნიკაციო საშუალებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინების გაგზავნა მოხდება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეკვიზიტებზე, მათ შორის ელექტრონული ფოსტის მისამართზე. რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეებმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ერთმანეთს.

9.4 "ირაო" უფლებამოსილია, სადაზღვევო შენატანის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში გადასცეს ინფორმაცია სს "კრედიტინფო საქართველოს".

9.5 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

9.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი თუ დამატება (შესწორება) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მათში მოცემული პირობები აღსრულდება ხელშეკრულების პირობებთან ერთობლიობაში.

9.7 მხარეთა უფლება-მოვალეობები და წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პირობები, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილია "ირაო"-ს იურიდიული მისამართი.

9.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ხელმოწერის შემდეგ თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები / ხელმოწერები

| "ირაო" | "კომპანია " |
|---|---|
| შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო" | სსიპ 130-ე საჯარო სკოლა |
| საიდენტიფიკაციო # 205023856 | საიდენტიფიკაციო # 202055694 |
| ქ. თბილისი 0160, ბოჭორიშვილის ქ#88/15, მე-5 სართული | მის: დიღმის მასივი 4 კვარტალი |
| ტელ.: (+995 32) 949 949; ფაქსი.: (+995 32) 369392 | ტელ : 577654323 |
| ელ-ფოსტა: office@irao.ge | ფაქსი.: |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| სს "ბანკი რესპუბლიკა" | სს ლიბერთი ბანკი |
| ა/ა GE70BR0000003608104958 | ა/ა GE97LB0121196735303000 |
| ბანკის კოდი: REPL GE22 | ბანკის კოდი: 220101488 |
| ............................................ | ............................................ |
| /ბ.ა./ | /ბ.ა./ |
| (ა.ხუხუნაშვილი, გაყიდვების და მარკეტინგის დირექტორი) | (მაია კოპალიანი, დირექტორი) |

საქართველო, თბილისი 0160
ბოჭორიშვილის ქ. № 88/15
ტელ. +995 (32) 2 949 949
ფაქსი +995 (32) 2 36 93 92
office@irao.ge • www.irao.ge

88/15, Bochorishvili str.
0160 Tbilisi, Georgia
Tel. +995 (32) 2 949 949
Fax +995 (32) 2 36 93 92
office@irao.ge • www.irao.ge

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

IRAO VIENNA INSURANCE GROUP

# ქონების დაზღვევის პოლისი № PV 0671/15
# Property Insurance Policy

წინამდებარე პოლისი, ირაო-ს ქონების დაზღვევის პირობები და ქონების დაზღვევის განაცხადი წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას
THIS POLICY, PROPERTY INSURANCE TERMS OF IRAO AND PROPERTY INSURANCE APPLICATION ARE SINGLE INSURANCE CONTRACT

დამზღვევი / Insured: სსიპ ქალაქ თბილისის N 130 საჯარო სკოლა; ს/კ 202055694

დამზღვევის მისამართი / Insured 's Address: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი — ტელ: / Tel: 591415050

მოსარგებლე / Beneficiary: სსიპ ქალაქ თბილისის N 130 საჯარო სკოლა; ს/კ 202055694

მოსარგებლის მისამართი / Beneficiary 's Address: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი — ტელ: / Tel: ;591415050

## დაზღვეული ქონების აღწერილობა / DESCRIPTION OF INSURED PROPERTY

დაზღვეული ქონების მისამართი / Address of Insured Property: თბილისი, ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 4 კვარტალი

დაზღვეული ქონების ტიპი / Type of Insured Property: შენობა — ფართი (კვ.მ) / Area (sq.m): 5813.52

| ქონების ტიპი<br>Type of Property | დაზღვეული რისკები<br>Risks Coverd | ქონების საბაზრო ღირებულება (GEL)<br>Market Value of Property (GEL) | სადაზღვევო თანხა (GEL)<br>Sum Insured (GEL) |
|---|---|---|---|
| კონსტრუქციული ელემენტები(შიდა მოპირკეთების გარდა)<br>Constuction Elemens (except iterior design) | ABCDEF | 222,325.00 | 222,325.00 |
| შიდა მოპირკეთება და საინჟინრო მოწყობილობები<br>Interior Design and Engineering Equipment | | | |
| ოფისის ავეჯი<br>Office Furniture | | | |
| დანადგარები<br>Equipment | | | |
| მარაგები<br>Stock | | | |
| სხვა<br>Other | | | |
| ჯამი:<br>Total: | | 222,325.00 | 222,325.00 |

* ოფისის ავეჯის, დანადგარების და „სხვა" ტიპის ობიექტების დაზღვევისას პოლისს აუცილებლად უნდა ერთვოდეს შესაბამისი დანართი დასაზღვევი ობიექტების და თანხების მითითებით, რის გარეშეც პოლისი არაა ძალაში

## სადაზღვევო რისკები / INSURED RISKS

| | |
|---|---|
| A | ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, საჰაერო ხომალდის ან მათი ნაწილების ვარდნა /FIRE, LIGHTNING, EXPLOSION, FALL OF AIRCRAFT OR PARTS THEREOF |
| B | შტორმი, ქარიშხალი, სეტყვა, მეწყერი, ქვის ცვენა, თოვლის სიმძიმე, წყალდიდობა / STORM, HURRICANE, HAIL, LANDSLIDE, WEIGHT OF SNOW, FLOOD |
| C | წყალგაყვანილობასა და სადრენაჟო სისტემიდან გამონადენი წყლით პირდაპირი დაზიანება, წყლის, ზეთის ან ნავთობის საქვაბეებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა /DAMAGE BY LEAKAGE FROM WATER SUPPLY AND DRANAIGE SYSTEMS, BURSTING OR OVERFLOWING OF WATER OR OIL TANKS APPARATUS OR PIPES |
| D | მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ვანდალიზმი, ქურდობა ან ქურდობის მცდელობა, ძარცვა, ყაჩაღობა / MALICIOUS DAMAGE CAUSEDBY THIRD PARTIES, THEFT OR ATTAMPTED THEFT, ROBBERY, BURGLARY |
| E | მიწისძვრა / EARTHQUAKE |
| F | სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება / VEHICLE IMPACT |

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრანშიზა<br>Deductible | ნაწილობრივი ზიანის შემთხვევაში-ზიანის 10%, მინ. 500 აშშ დოლარი, სრული განადგურების შემთხვევაში-სადაზღვევო თანხის 10% | | |
| ჯამური სადაზღვევო თანხა (GEL<br>Total Sum Insured (GEL) | 222,325.00 GEL | სადაზღვევო პრემია (GEL)<br>Insurance Premium (GEL) | 555.81 GEL |

## სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკი (GEL) / INSURANCE PREMIUM AND TERMS OF PAYMENT (GEL)

| თარიღი:<br>Date: | 14.09.2015 | 14.12.2015 | 14.03.2016 | 14.06.2016 | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრემია:<br>Premium: | 138.95 | 138.95 | 138.95 | 138.96 | | | | | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სადაზღვევო პერიოდი<br>Period of Insurance | 14.09.2015 - 13.09.2016 | | პოლისის გაცემის თარიღი<br>Date of Policy Issue | 14.09.2015 |
| კომენტარი<br>Comment | | | | |

მზღვეველი / Insurer

დამზღვევი / Policyholder

გავეცანი და მთლიანად ვეთანხმები ირაო-ს ქონების დაზღვევის პირობებს. ვადასტურებ რომ აქ მოყვანილი მონაცემები არის სრული და ზუსტი. თანახმა ვარ რომ თუ ეს მონაცემები აღმოჩნდა მცდარი, დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო არ იქნება ვალდებული აანაზღაუროს შესაბამისი ზარალის ოდენობა.
ასევე თანახმა ვარ მივიღო ნებისმიერი ინფორმაცია მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.
Acquainted and agree to the property insurance terms of IRAO. I certify, that the information stated here is correct. I agree, that in case the information stated by me occurs to be incorrect, International Insurance Company IRAO Ltd will not be obliged to remunerate the relevant damages.
I also agree to receive any kind of information through the way of text massages.

ბეჭედი/seal

ბეჭედი/seal

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

ბოჭორიშვილის ქ. 88/15
ტელ: (995 32) 2 949 949
ფაქსი: (995 32) 2 369 392
საიდენტიფიკაციო კოდი: 205023856
საბანკო რეკვიზიტები:
სს "ბანკი რესპუბლიკა"
კოდი REPLGE22 ა/ა GE70BR0000003608104958 - GEL
ა/ა GE55BR0000003618104958 - USD

შპს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"
LTD "International Insurance Company IRAO"

თარიღი/Date: 15.09.2015

## ინვოისი /Invoice № I 107007/15

| | |
|---|---|
| პოლისის ნომერი<br>Policy # | PV 0671/15 |
| ხელშეკრულების ნომერი<br>Contract Number | 08863/15 |
| დამზღვევი<br>Insured | სსიპ ქალაქ თბილისის N 130 საჯარო სკოლა ს/კ:202055694 მის:ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი |
| დაზღვევის სახეობა<br>Insurance Type | ქონების დაზღვევა |
| დანიშნულება<br>Purpose of payment | დანიშნულებაში მიუთითეთ ინვოისის და პოლისის ნომერი<br>Please Indicate Invoice Number and Policy number in the purpose of payment |

## გადასახდელი თანხა/Amount payable

| თარიღი Date | 14.09.2015 | 14.12.2015 | 14.03.2016 | 14.06.2016 | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თანხა Amount | 138.95 | 138.95 | 138.95 | 138.96 | | | | | | | | |

ჯამური სადაზღვევო პრემია
Total insurance premium
555.81 GEL

გადასახდელი პრემია 15.09.2015-თვი
Payable premium as of 15.09.2015
138.95 GEL

**შპს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო"** ____________

**გადახდის ვადა:** ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში, გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. გადახდის დღედ ითვლება ირაოს საბანკო ანგარიშზე თანხის ასახვის თარიღი.
**Payment Terms:** Payment is made in GEL, according to exchange rate stated by National Bank of Georgia for the day of payment.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის თანახმად, თუ სადაზღვევო შესატანის დაფარვისათვის განსაზღვრული ვადის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში არ იქნება შესრულებული აღნიშნული ვალდებულება, ვადის გასვლის შემდეგ დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის შესაბამისად, სადაზღვევო შესატანის დაფარვისათვის განსაზღვრულ ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, სადაზღვევო შესატანის გადახდისთვის დადგენილი თარიღიდან ერთი თვის შემდეგ მზღვეველი იტოვებს უფლებას მოშალოს ხელშეკრულება.

According to the article 817 of the Civil Code of Georgia, in case of failure of payment an insurance contribution by insured during two weeks after the period duly determined for it, the insured event that may occure after this term, shall not be the subject of reimbursement. Under the article 818 of the Civil Code of Georgia, in case of failure of payment an insurance contribution during the term duly determined for it, after a month from the date, determined for payment the insurance contribution the insurer shall be eligible to breach the contract.